გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულო

დადგენილება № 13

2020 წლის 13 მარტი

ქ.გორი

გორის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

გორის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №17 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 16/11/2017; 010260010.35.148.016401) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

ა) დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „მ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მ) მერიის საჯარო მოსამსახურეთა მიერ დისციპლინისა და კანონიერების დაცვის კონტროლი, გორის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოსამსახურეთა შინაგანაწესით დადგენილი მოვალეობების შესრულებისას სამსახურებრივი გადაცდომების და სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენის ფაქტების გამოვლენა და შემდგომი რეაგირება; დისციპლინური წარმოებისთვის დადგენილი წესებისა და პროცედურების დაცვით დისციპლინური წარმოების განხორციელება."

ბ) დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) მერიის საჯარო მოსამსახურის მხრიდან ჩადენილი დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, მერის წინაშე დააყენოს საკითხი ასეთი საჯარო მოსამსახურის მიმართ დისციპლინური წარმოების შესაძლო დაწყებისა და დისციპლინური სახის ღონისძიების გამოყენების შესახებ; დისციპლინური წარმოებისთვის დადგენილი წესებისა და პროცედურების დაცვით განახორციელოს დისციპლინური წარმოება."

გ) დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტის ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სამსახურის აქვს ორი განყოფილება:
ა) შიდა აუდიტის განყოფილება;
გ) ინსპექტირებისა და ანალიტიკის განყოფილება."

დ) დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი ამოღებულ იქნას.

ე) დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-8 მუხლის მე-3 პუნქტს დაემატოს „თ" ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:
„თ) სამსახურის მიერ შემუშავებული და გაცემული რეკომენდაციების შემდგომი შესრულების მონიტორინგი და კონტროლი;"

ვ) დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-8 მუხლის მე-3 პუნქტს დაემატოს „ი" ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:
„ი) ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ადეკვატურობისა და ეფექტიანობის შეფასება;"

ზ) დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-8 მუხლის მე-3 პუნქტს დაემატოს „კ" ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:
„კ) მერიის სისტემაში ასიგნებების განაწილებისა და ხარჯვის კანონიერების, მიზნობრივი განკარგვის, მატერიალური ფასეულობების და სხვა საშუალებათა რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფის მონიტორინგი, შეფასება, შესაძლო დარღვევებისა და ხარვეზების რისკების განსაზღვრა;"

თ) დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-8 მუხლის მე-3 პუნქტს დაემატოს „ლ" ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:
„ლ) „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონით, საქართველოს სხვა მოქმედი კანონმდებლობით, მერიის დებულებით და სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელება."

ი) დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-8 მუხლის მე-3 პუნქტს დაემატოს „მ" ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:
„მ) ინტერესთა შეუთავსებლობის ფაქტების გამოვლენა, მერიის საჯარო მოსამსახურეთა მიერ სამსახურებრივი ეთიკის წესების შესრულებაზე კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება;"

კ) დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტს დაემატოს „ე" ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:
„ე) მერიის საჯარო მოსამსახურეთა მიერ დისციპლინისა და კანონიერების დაცვის კონტროლი, გორის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოსამსახურეთა შინაგანაწესით დადგენილი მოვალეობების შესრულებისას სამსახურებრივი გადაცდომების და სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენის ფაქტების გამოვლენა და შემდგომი რეაგირება; დისციპლინური წარმოებისთვის დადგენილი წესებისა და პროცედურების დაცვით დისციპლინური წარმოების განხორციელება."

მუხლი 2.
დადგენილება ამოქმედდეს 2020 წლის 15 აპრილიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**